შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (10.085)

12—19 აგვისტო 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

15 წელი აგვისტოს ომიდან

აგვისტოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით ქალაქ დედოფლისწყაროში 8 აგვისტოს ტრადიციულად სამგლოვიარო მსვლელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა დედოფლისწყაროს თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებმა მიიღეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა გელა სამუკაშვილმა, მალხაზ მერაბიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. მემორიალთან 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის ტაძრის ღვდელმსახურმა მამა ზურაბმა გადაიხადა.

სამგლოვიარო ღონისძიებაზე ქართველი გმირების ღვაწლი საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა გაიხსენა და მათ მშობლებს გმირი შვილების აღზრდისთვის მადლობა გადაუხადა.

ახლახან დასრულდა გმირთა მემორიალის სკვერისა და თავად მონუმენტის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანად შეიცვალა სვეტის ფილები. მემორიალზე დაემატა გამორჩენილი გმირების გვარი-სახელებიც.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს გმირთა მემორიალი 2012 წელს გაიხსნა, მისი ესკიზი კონკურსის წესით მოქალაქეთა გამოკითხვის შედეგად შეირჩა. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოში საუკეთესო ნამუშევრის გამოსავლენად შექმნილი იყო სპეციალური კომისია. კონკურსისთვის ხუთი მონაწილის შვიდი ესკიზი განიხილეს, საიდანაც ყველაზე მეტი მხარდაჭერა ინტერნეტ და სხვა სახის გამოკითხვების შედეგად ამ ნამუშევარმა დაიმსახურა. კომისიამ წარმოდგენილ შვიდ ესკიზს შორის საუკეთესოდ ვასილ ნასიბოვის ნამუშევარი დაასახელა. საკრებულომ მამულისათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის გამარჯვებული ესკიზის ავტორი ვასილ ნასიბოვი 1 000 ლარით დააჯილდოვა.

სამად გატეხილი საბრძოლო ფარი სიმბოლურად ასახავს რუსეთის მიერ ოკუპირებულ და დანაწევრებულ საქართველოს. მარჯვნივ — გატეხილი ხმალი, როგორც საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული მებრძოლების სიმბოლო. მარცხნივ — გაუტეხავი ხმალი, როგორც გაუტეხავი მებრძოლი სულის სიმბოლო.

„დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს!“

12 აგვისტოს საქართველოში სახალხო დღესასწაული - დიდგორობა აღინიშნება, რომლითაც 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას იხსენებენ. 12 აგვისტოს ქართულმა ჯარმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკები უთანასწორო ბრძოლაში დაამარცხა. ამ ბრძოლას ისტორიკოსებმა "ძლევაი საკვირველი" უწოდეს.

1118 წელს, ყივჩაღების ჩამოსახლებით, დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა დამაგვირგვინებელ ფაზაში შევიდა. დავითის არმია სამ ძირითად სამხედრო შენაერთად იყოფოდა: მონასპა — სამეფო გვარდია, რომელიც მეფეს სულ თან ახლდა — 5 000 კაცისგან შედგებოდა. 20 000 მებრძოლს ითვლიდა, ასევე რეგულარული შენაერთი — მოლაშქრენი, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ, მუდმივ მზადყოფნაში იმყოფებოდნენ ნებისმიერი მიმართულებით გადასაადგილებლად და მეციხოვნენი, რომლებსაც მოლაშქრეების მიერ აღებული ტერიტორიების ხანგრძლივი დროით დაკავება და გამაგრება ევალებოდათ. ყივჩაღთა ჩამოსახლებით და მათი რეგულარულ არმიაში გაწევრიანებით, მეფე აღარ იყო დამოკიდებული ფეოდალურ ლაშქარზე, რადგან ყივჩაღებისგან შემდგარი სამხედრო ქვეგანაყოფები, მეფის წყალობით

(ჯამაგირით) ცხოვრობდნენ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი.

დავით მეფის ამგვარმა გაძლიერებამ და მისმა წარმატებულმა ბრძოლებმა დამპყრობთა წინააღმდეგ, შიშის ზარი დასცა თურქებს. საქართველოს ტერიტორიებიდან განდევნილებმა და შევიწროებულებმა გადაწყვიტეს შემწეობა ძლევამოსილი მაჰმადიანი ხელისუფალთათვის ეთხოვათ. მემატიანეთა ცნობებით, მათ "ხელ-პირ შავად შეღებილებმა, ტანსაცმელშემოფლეთილებმა და თავზე ნაცარდაყრილებმა" მიმართეს განძაკის სულთან მელიქს, სხვებმა — კარმიანის ამირა ხაზი არდუხის ძეს, იგივე ილღაზის და ასევე სხვა მაჰმადიან მბრძანებლებს. მათი გაერთიანებული ძალისხმევით, შეიქმნა გიგანტური კოალიციური არმია, რომლის მთავარ მიზანსაც "ურჩი" დავით მეფის და ქრისტიანული ქართული სახელმწიფოს სამაგალითო დასჯა წარმოადგენდა.

1121 წლის, 12 აგვისტოს გამთენიისას, "გულით უძრავმა" დავით მეფემ საგულდაგულოდ ჩაკეტილ ნიჩბისის ხევში განლაგებულ ქართველ მეომრებს მიმართა: "ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ".....

ლაშქარში 40 000 ქართველი ირიცხებოდა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეფე მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს მოუწოდებდა საღმრთო ომისკენ, ის რა თქმა უნდა მოუწოდებდა 15 000 ყივჩაღსაც,

დასასრული გვ. 6

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

N	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	ქირის წლიური საფასური (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფ. ხორნაბუჯი	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საძოვარი)	52.32.31.001	800 000 კვ.მ.	3192	10%	5%	100
2	სოფ. არხილოსკალო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საძოვარი)	52.64.31.001	375 002 კვ.მ	1525	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ***ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.***

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;
2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900;

სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი- 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯარიდან მიღებული შემოსავალი);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბიჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქ. დედოფლისწყარო რუსთაველის ქუჩა	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ***ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.***

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1 განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

1. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი - 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3.პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

კოვიდის ახალი შემთხვევები დაფიქსირდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რამდენიმეხნიანი პაუზის შემდეგ კოვიდ 19-ის ახალი შემთხვევები დაფიქსირდა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა მარიეტა გონაშვილმა აცნობა. მისი თქმით, გასულ კვირას 7 პაციენტს სწრაფი ტესტის მეთოდით კოვიდ ინფექცია დაუდასტურდა, რომელთაგან 5 საავადმყოფოში დააწვინეს, ორი კი ბინაზე მკურნალობს. „შირაქის“ ინფორმაციით, ინფიცირებულია ასევე ჯანდაცვის ცენტრის ორი თანამშრომელი.

მარიეტა გონაშვილის განმარტებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში კვლავაც უფასოა კოვიდ 19-ზე სწრაფი ტესტის ჩატარება, თუმცა მათ დაწესებულებას ბოლო დროს ტესტირების მსურველები თითქმის აღარ მიმართავენ. ამდენად, ვეღარ ხდება ინფიცირებული პაციენტების გამოვლენა. მისივე მტკიცებით, ამ შემთხვევაში ინფიცირებული პაციენტები დედოფლისწყაროს საავადმყოფომ გამოავლინა.

მარიეტა გონაშვილი: „სრულიად შემთხვევით გამოავლინა საავადმყოფომ ინფიცირებული პირები. მათ სხვა მიზეზით მიმართეს სტაციონარს, თუმცა, პროტოკოლის მიხედვით, მოქალაქეებს კლინიკაში ტესტირების გავლამდე არ უშვებენ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში პაციენტმა კანზე გამონაყარის გამო მიმართა საავადმყოფოს, თუმცა ვიდრე ექიმი გასინჯავდა, შესვლისას მოხდა მისი ტესტირება და დადებითი პასუხი მიიღეს. აქამდე აღარ ფიქსირდებოდა დადებითი შემთხვევები, საავადმყოფო ყოველთვის ახორციელებს ტესტირებას და ინფიცირების ახალი შემთხვევა დედოფლისწყაროში აღარ ყოფილა. ორი უინფიცირებული ბინაზე, ამბულატორიულად მკურნალობს, ხუთი კი კლინიკაში მოთავსდა. მსუბუქად მიმდინარეობს, ბევრმა შეიძლება ისე მოიხადოს, ვერც მიხვდეს, ან უბრალო გრიპი ეგონოს. ამის გამო ბევრი აღარ იტარებს ტესტირებას. ჩვენს თანამშრომლებსაც საავადმყოფოდან გადაედოთ ვირუსი. ერთერთის შვილი სტაციონარში მუშაობს და მან მიუტანა სახლში, მისგან კი დაინფიცირდა ჩვენი კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც მის სამუშაო ოთახში ზის. სერიოზული სიმპტომები არ ჰქონია, ყელის ტკივილი აღენიშნებოდა და რადგან ხმა შეეცვალა, ჩავთვალეთ, რომ კოვიდი იქნებოდა, ტესტირება ჩაიტარდა და დაუდასტურდა.. საგანგაშო ვითარება არ არის, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა ერთდროულად გამოვლინდა. ეს ზუსტი მონაცემები არ არის, რადგან, როგორც უკვე გითხარით, ბევრი ინფიცირებული ისე გამოჯანმრთელდება ხოლმე, არ მიდის ტესტირების გასავლელად და ოფიციალურ მონაცემებში არ ფიქსირდება. არც ინფიცირებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების შემთხვევები ფიქსირდება“.

ილია მარტყოფლიშვილი

კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნება

კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბი აგვისტოს ბოლოს გაიხსნება. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ განაცხადა. მინისტრის განცხადებით, ნაკლები მოსავლის გათვალისწინებით, ბიუჯეტი ყურძნის სუბსიდირებისთვის შემცირებულ ბიუჯეტს - 50 მილიონ ლარს გამოყოფს.

როგორც ცნობილია, 2022 წელს საქართველოში 200 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავება მოხდა, საიდანაც 114 ათასი ტონა რქაწითელის ჯიშის, 75 ათასი ტონა საფერავის, 5 ათას ტონამდე კი კახური მწვანეს ჯიშის ყურძენი იყო. უცნობია რამდენი ათასი ტონით ნაკლები იქნება წელს ყურძნის მოსავალი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ შამუგიას განცხადებით, კახეთში რთველის საკოორდინაციო შტაბი აგვისტოს ბოლოს გაიხსნება.

„მთავრობამ მიიღო „2023 წლის რთველის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულება. ჩვენ ყველა მოსამზადებელი პროცესი გავლილი გვაქვს და თვის ბოლოს, 25 ან 26 აგვისტოს, გაიხსნება შტაბი, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. პროცესში ჩართული იქნება მუნიციპალიტეტების ყველა შესაბამისი სამსახურები.

ასევე მთავრობის განკარგულებით, განისაზღვრა სუბსიდიის ოდენობა, რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძენზე 20 თეთრის ოდენობით. კერძოდ, ყველა ის საწარმო, რომელიც 100 ტონაზე მეტ ყურძენს ჩაიბარებს და გადაამუშავებს, მიიღებს სუბსიდიას 20 თეთრის ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ 1 კგ ყურძენზე გადაიხდის არანაკლებ 90 თეთრს.

ვფიქრობთ, რომ სუბსიდია ჯერ კიდევ საჭირო და მნიშვნელოვანია დარგისთვის, თუმცა წელს, ეს არის გაცილებით ნაკლები ოდენობის თანხა, ვიდრე ეს იყო თუნდაც შარშან და გასულ წლებში, როდესაც სუბსიდია 1 კგ-ზე 35 თეთრს შეადგენდა. შემცირების საშუალება ჩვენ მოგვცა სწორედ იმ გატარებულმა პოლიტიკამ, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში ვახორციელებთ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის.

ჩვენ ყოველწლიურად ვაუმჯობესებთ ღვინის ხარისხს, იზრდება ღვინის ექსპორტი. შარშან გვქონდა დაახლოებით 30%-იანი ზრდა. წლევანდელი 7 თვის მონაცემებითაც ვინარჩუნებთ ზრდის დინამიკას, რამაც მოგვცა საშუალება, რომ გადაგვედგა ეს ნაბიჯი. ვფიქრობთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ხელი შევუწყოთ მეწარმეებს უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილი ყველა პრიორიტეტულ ბაზარზე და ჩვენი ღვინის ექსპორტი იყოს მზარდი.

წელს სუბსიდიის საერთო ბიუჯეტი განსაზღვრულია 50 მილიონის ოდენობით. ვფიქრობთ, რომ წლევანდელი მოსავალი შედარებით ნაკლები იქნება ვიდრე შარშან, ვინაიდან კლიმატურმა პირობებმა გავლენა იქონია ყურძნის რაოდენობასა და ხარისხზე.

რაც შეეხება ყურძენს, რომელსაც კერძო სექტორი ვერ ჩაიბარებს, რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფო საწარმო მიიღებს და გადაამუშავებს. ჩვენ ყველანაირად მზად ვიქნებით იმისთვის, რომ მევენახეებს არც ერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩეს“, — აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

ივლისში კახეთში უკანონო თევზჭერის 8 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2023 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, უკანონო თევზჭერის 93 ფაქტი გამოავლინეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით, გამოვლენილი ფაქტებიდან 51 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

„უკანონო თევზჭერის ყველაზე მეტი - 21 ფაქტი გამოვლინდა იმერეთში. ქვემო ქართლში დაფიქსირდა 20 სამართალდარღვევა. 16 ფაქტია გამოვლენილი მცხეთა-მთიანეთში, კახეთში -8, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 7, აჭარაში -5, გურიაში - 4, შიდა ქართლში -3, სამცხე-ჯავახეთში- 1. ასევე 1 ფაქტია აღკვეთილი დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლების მიერ. სამართალდარღვევები დაფიქსირდა დედაქალაქშიც - ივლისში, თბილისში, უკანონო თევზჭერის 7 ფაქტი გამოავლინეს.

ბრაკონიერები უმეტეს შემთხვევაში იყენებდნენ ისეთ უკანონო თევზსაჭერ საშუალებებს, როგორიცაა სახლართი ტიპის ბადე, ელექტროშოკური აპარატი და სხვა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა აღკვეთეს ელექტროშოკური აპარატით თევზჭერის 10, სახლართი ტიპის ბადით - 54 და ე.წ. ჩოგან-ბადის გამოყენებით უკანონო თევზჭერის 8 ფაქტი.

ბრაკონიერობასთან ბრძოლის ფარგლებში ინტენსიურად ტარდება პრევენციული ღონისძიებებიც, განსაკუთრებით ისეთ ლოკაციებზე, სადაც, ბოლო წლებში, უკანონო თევზჭერის ფაქტები შედარებით ხშირია. მიმდინარე წლის ივლისში გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ჯამში, 1 270 მეტრზე მეტი სიგრძის სახლართი ტიპის ბადე და 4 თევზმახე, ე.წ. გოდორი ამოიღეს. პრევენციული ღონისძიებები გატარდა თბილისის ზღვაზე, სიონის წყალსაცავზე, ბაზალეთის ტბაზე, ასევე მდინარეებზე - მტკვარსა და ნატანებზე.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის უკანონო თევზჭერის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა და პრევენცია პრიორიტეტია. 2023 წლის 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვეყნის მასშტაბით, უკანონო თევზჭერის 384 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 105 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდეგი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

შოვში სამძებრო სამუშაოები გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში აქტიურად გრძელდება სამძებრო სამუშაოები როგორც ცოცხალი ძალით, ასევე, მძიმე ტექნიკით და მცურავი საშუალებებით.

უწყების ცნობით, გაფართოვდა ძებნის არეალი. „სამძებრო სამუშაოებში ჩართული სამაშველო ნავების მეშვეობით, მდინარის და მისი მიმდებარე ტერიტორიების აქტიური მონიტორინგი ხორციელდება. სამუშაოებში ასევე, ჩართულნი არიან პოლიციის დანაყოფები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები, კინოლოგთა ჯგუფი, თავდაცვის სამინისტროს და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები. ადგილზე მუშაობს დრონები და სპეცტექნიკა.

მაშველების მიერ ამ დროისთვის სტიქიის ზონაში აღმოჩენილია 24 ცხედარი, საძიებო სამუშაოები 9 პირთან დაკავშირებით მიმდინარეობს“,- ნათქვამია ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ კურორტ შოვში, 3 აგვისტოს სტიქიის შედეგად განადგურდა ინფრასტრუქტურა, დაიღუპნენ ადამიანები. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შოვის მეწყერთან დაკავშირებით 5 აგვისტოს განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ მდინარე ბუბისწყალი არ ხასიათდებოდა ღვარცოფული მოვლენებით და რომ მასშტაბური ღვარცოფის გავლას ამ ტერიტორიაზე ადგილი არ ჰქონია. თუმცა, სააგენტოს თქმით, სტიქიის დროს „მოხდა 5 პროცესის თანხვედრა, რამაც გამოიწვია აღნიშნული შედეგი“. სააგენტო განმარტავს, რომ მდინარე ბუბასწყლის ხეობაში (მდინარე ჭანჭახის მარჯვენა შენაკადი), მყინვარების ბუბა და თბილისას ინტენსიურმა დნობამ და თანმდევმა ნალექმა დინამიკაში მოიყვანა ხეობაში არსებული მყარი ნატანი, განვითარდა აქტიური გვერდითი ეროზიული პროცესები. ასევე, ადგილი ჰქონდა ნაპირების გარეცხვას, რამაც ხელი შეუწყო ე.წ სანაპირო მეწყრული პროცესების ჩასახვა-გააქტიურებას, რაც შემდგომ გადაიზარდა ღვარცოფში. სააგენტოს თქმით, 2022 წლის ბიულეტენში საუბარია მდინარე დღვიორაზე (და არა მდინარე ბუბისწყალზე), რომელიც არის მდინარე ჭანჭახის მარცხენა შენაკადი, სადაც ხშირია ღვარცოფული ნაკადების გავლა. სააგენტო აღნიშნავს, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგების მიერ დამუშავებული ინფორმაციის შედეგად, ცნობილია, რომ მდ. ბუბისწყალზე (ჭანჭახის მარჯვენა შენაკადი) განვითარებულ ღვარცოფს, ასეთი დიდი მასშტაბის პროცესს წარსულში ადგილი არ ჰქონია და რომ შოვში ასეთ მოვლენა არ დაფიქსირებულა, განსხვავებით სოფ. გლოლას მიმდებარე ლოკაციისგან, მდ. ჭანჭახის მარცხენა შენაკად დღვიორასგან, სადაც ღვარცოფული პროცესების აქტიურობა ხშირია.

ოზაანის „ამაღლება“ მომლოცველებს ვეღარ იღებს

ოზაანის „ამაღლების“ ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი, უნიკალური და ყველაზე დიდი ტაძარია დედოფლისწყაროში, უკვე რამდენიმე თვეა მომლოცველებს ვეღარ იღებს. გუმბათიდან აგურების ჩამოცვენის გამო მონასტერში შესვლა უსაფრთხო აღარ არის, ამიტომ ეპარქიამ კარის ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. იქვე გვხვდება გამაფრთხილებელი წარწერა, რომ ტაძარში შესვლა უსაფრთხო არ არის, ამდენად იქ მისულ მომლოცველებს სანთლის ანთება გარეთ მოუწევთ. არადა, ეს შუა საუკუნეების ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარია დედოფლისწყაროში, აქვს XIII-ე საუკუნის უნიკალური კედლის მხატვრობა, რომელსაც ასევე დაზიანების საფრთხე ემუქრება.

„შირაქის“ ინფორმაციით, პრობლემის მოგვარებას კულტუტული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საპატრიარქოსთან შეთანხმებით ცდილობს. ჯერ უცნობია, რა თანხა გამოიყოფა ტაძრის გამაგრებისთვის, ან როდის დაიწყება პროცესი, თუმცა რესტავრატორებისთვის პრობლემა ცნობილია. ამაღლების მამათა მონასტრის წინამძღვარი **ილუმენი სერაფიმე შავიძე** გაზეთ „შირაქს“ უდასტურებს, რომ ძეგლთა დაცვის სპეციალისტები ამ ფაქტის შემდეგ ადგილზე რამდენჯერმე იმყოფებოდნენ და გარკვეული სამუშაოები უკვე ჩაატარეს.

„საბედნიეროდ, როცა ჭერიდან ქვები ჩამოცვივდა, უკვე გარეთ ვიყავით, მრევლს ვესაუბრებოდი. არავინ დაშავებულა, თუმცა, რადგან ჩამოშლის რისკი კიდევ არსებობს, ამის გამო გადავწყვიტეთ, კარი დროებით დაგვეკეტა. შიგნით ნალექიც ჩამოდის. ვფიქრობ, რეაბილიტაციის პროცესი არ გაჭიანურდება, რადგან არაერთხელ ჩამოვიდნენ სპეციალისტები, ხშირად მიკავშირდებიან. საკურთხევლის საძირკველიც მთლიანად გათხარეს. პრობლემას საფუძვლიანად სწავლობენ. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რომელი სამსახურია, თუმცა ვხედავ, რომ მუშაობენ და საქმე წინ მიდის. სავარაუდოდ, ეს არის კომპანია, რომელიც სახელმწიფო დაკვეთით სამუშაოებს ახორციელებს. ვადების შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ იმედიანად ვარ განწყობილი,“ — უთხრა „შირაქს“ ილუმენმა სერაფიმემ.

საპატრიარქოს მიერ მღვდელმოქმედებაშეჩერებული დეკანოზი ილია ჭიღლაძე, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ეპარქიაში მსახურობდა, გაცილებით რადიკალურია ოზაანის „ამაღლების“ დღევანდელი მდგომარეობის მიმართ. სიძველის მოფრთხილებისა და რეაბილიტაციის დაწყების მოთხოვნით მან განცხადება და ფოტოკოლაჟი გასულ კვირას გაავრცელა.



შეგახსენებთ, ათწლეულების მანძილზე შეჩერებული სამონასტრო ცხოვრება ოზაანის ამაღლებაში მეუფე დიმიტრი კაპანაძის დიდი ძალისხმევით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2020 წლის 26 ნოემბრიდან აღდგა. ამ დღეს ყოვლადუსამღვდელოესმა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა ოზაანის „ამაღლების“ სახელობის მამათა მონასტერში და მონასტრის წინამძღვრად იღუმენი სერაფიმე (შავიძე) დანიშნა.

ოზაანის ამაღლების ტაძარი კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში მდებარეობს. ისტორიულ წყაროებში იგი IX-X საუკუნეებით თარიღდება, მალევეა მიშენებული დასავლეთისა და სამხრეთის მინაშენები. ფრესკები შესრულებითა და მხატვრული გადაწყვეტით იმავე პერიოდის ნამყვან ძეგლებს უტოლდება და ქართული მონუმენტური მხატვრობის მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესია ნაგებია ქართული აგურით, გუმბათის სახურავი და ფლიგელები ქართული კრამიტით არის გადახურული. გარეთა კუთხეებსა და ფასადებზე, მიწის დონეზე, გამოყენებულია კარგად თლილი ქვები. ნაგებობა თავდაპირველად მოჭიქული, ბრტყელი და ღარიანი კრამიტის კომბინირებული წყობით იყო დახურული.

ილია მარტყოფლიშვილი

ცხელი აგვისტო გრძელდება... გთავაზობთ ამ ომში დაღუპული გმირების ისტორიებს, რომელებიც გაზეთმა "ჰრაიმ ტაიმმა" წიგნად დაბეჭდა და „გმირები" უწოდა. ისინი, მართლაც, სამშობლოს შეწირული გმირები არიან...

გიორგი აბიათარი



„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!" — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელ ჯვაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, დედა: „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოიზარდა ცული აიღო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო..."

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო..."

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო — თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ვეღარც 19 წლის გახდა, ვეღარც ოცის...

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

დედა: დედისერთა იყო ჯარში არ მიჰყავდათ, მისი კლასელები მიდიოდნენ და ამბობდა, მეც აუცილებლად უნდა წავიდეო და წავიდა თავისი ინიციატივით. გოჩა ილურიძესთან ერთად იყო სამარშრუტო ტაქსში, ფანჯარა გააღეს და დაგვიძახეს, ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართო. 27 მაისს წავიდა ჯარში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იყვნენ, კარანტინს როდესაც მორჩნენ, მკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში გადავიდე თუ დაცვაში დავრჩეო. ნათესავებსაც ჰკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში ურჩიეს. კრწანისში მსახურობდა. ყოველ შაბათ-კვირას ვაკითხავდი, არასოდეს დაუწუწუნია, მაშინაც კი, როცა მუხლზე პრობლემები შეექმნა. 27 ივლისს ღუდუშაურის კლინიკაში მყავდა, მისი მდგომარეობა რომ ნახეს, უთხრეს სამსახურიდან გაგიშვებთო. უარი თქვა, სამსახურს არ მივატოვებ, უბრალოდ, ცოტა ხანი დრო მომეცით, რომ ვიმკურნალოო. 9 აგვისტოს კომისია უნდა ყოფილიყო, უნდა გამოეშვათ... კარგი უფროსობა ჰყავდა, ყურადღებას აქცევდნენ... ბოლოს მაშინ ვნახე, 27 ივლისს, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მიმეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... 2 აგვისტოს ილიაობაა და მითხრა, შენ ნუღარ ჩამოხვალ, დედი, მე ჩამოვალო...

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემოწმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვიაწამალს რომ ურიგებდნენ".

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება.

„რაღაცას ვგრძნობდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სულ ტელევიზორს მივჩერებოდი, იქნებ რამე გამეგო, ხან ხვიჩას დედასთან ავდიოდი, იქნებ იმან გაიგო რამე-მეთქი, სადაც ხალხს დავინახავდი შეკრებილს, იქ მივდიოდი, ჩემს დანახვაზე იშლებოდნენ... მიკვირდა რა ჭირთ-მეთქი, მეზობელთან მივედი, გიორგის ვერ ვუკავშირდები, გამომყევი, ბილაინის ბარათი მაყიდინე, დამეხმარე-მეთქი, ეს რომ ვთხოვე, მეზობელმა ზურგი შემაქცია, მეორე მეზობელს უთხრა: წაიყვანეო... თურმე ყველამ იცოდა ჩემი უბედურება, სოფელში მოსულან და უთქვამთ, როგორ მივიდეთ დედამისთანო... როგორმე უნდა გავაგებინოთო. ჩემს დისშვილთან მისულან, ჩემ დასთან... მეზობლები შინ არ მიშვებდნენ, მარტო არ მტოვებდნენ... ჩემი მეუღლე მოვიდა მერე, დაიხარა, მაკოცა. გამიკვირდა, რა მოუვიდა-მეთქი. ჩემს მეუღლეს უკვე სცოდნია რომ შვილი აღარა გვყავს... მითხრა, წადი სახლში, მეც მალე მოვალო. მივედი სახლში, ჩემი და ჩამოიყვანეს, ჩემმა დამ სახლში შემიყვანა, ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე...

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯვაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის" სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

თეიმურაზ ბერიძე

შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო"- თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვეღარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი."

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოსვენეს და ფერიის პანთეონში დაკრძალეს.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისთვის", მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ-ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი მიანიჭა.

თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადავიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადაასვენეს.

გოჩა ილურიძე

გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცნაზში შესვლა ურჩია. შევიდა.

მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...

ომი დაიწყო...

8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაბანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტზე. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

2008 წლის 14 თებერვალს გოჩა 18 წლის გახდა და მალევე გაიწვიეს კიდეც ჯარში.

„25 მაისს მოუვიდა უწყება, მე სამუშაოდ ვიყავი წასული და სამსახურში ჩამომაკითხა, უწყება მომიტანეს და უნდა წავიდეო. იმ დღეს მისი დეიდაშვილის დაბადების დღე იყო და თელავში მიდიოდა. მითხრა: თელავში წავალ, 26-ში მამიდასთან მივალ რაიონში და იქიდან წავალ პირდაპირ ჯარშიო. წავიდა დაბადების დღეზე, მოილხინა. გულმა არ მომითმინა, ბავშვი ჯარში რომ წაიყვანონ, როგორ არ უნდა გავაცილო მეთქი, 27 მაისს დილაუთენია კომისარიატში ჩავედი, იქ ველოდებოდი. ცოტა დაიგვიანა, ძალიან დაღონებული მოვიდა. გადაუღეს სურათები და „მარშრუტკაში“ რომ ჯდებოდა, გადამეხვია, დამკოცნა და გამომემშვიდობა. ძალიან დაღონებული იყო. რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს ცოცხალს უკანასკნელად ვხედავდი...

ერთი თვე ქუთაისში, გეგუთის ნაწილში ჰყავდათ. ფიცი, რომ მიიღეს, იქიდან კრწანისში გადაიყვანეს, სპეცდანიშნულების რაზმში.

ძმისთვის უკითხავს, კონტრაქტზე ხომ არ გადავიდეო. ძმამ ურჩია სპეცნაზში გადადიო... სულ ორი თვე იმსახურა ქვეყნის დასაცავად და მის თავისუფლებას შეეწირა...

მისი მეთაური ამბობს, საამაყო ჯარისკაცი მყავდაო. გამოვიყვანდი ხოლმე, დავაყენებდი და სხვა ჯარისკაცებს მივმართავდი, მიბაძეთ ამ კაცს და იყავით ასეთი ვაჟკაცები, როგორიც გოჩააო...

ხშირად ველაპარაკებოდით ტელეფონზე, ძალიან მოსწონდა ჯარში ყოფნა, ვარჯიშობდა და თავს კარგად გრძნობდა. ერთხელ მითხრა: სირბილში მეორე ადგილი ავიღეო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა, მას მერე აღარ მინახავს...''

დაიწყო აგვისტოს ომი. გოჩაც და მისი უფროსი ძმაც ომში იბრძოდნენ, დედა დაკავშირებას ვერ ახერხებდა ომში წასულ შვილებთან.

„ვერაფრით ვუკავშირდებოდი ბიჭებს, ომი იყო და 2 შვილი სად მყავდა, არ ვიცოდი. 9 აგვისტოს გოჩას უსულო სხეული მომიტანეს სახლში, დედა მოუკვდეს...

7 აგვისტოს გორში ჩაუყვანიათ და შემდეგ ერედვში შესულან.

ორი დღე და ღამე ფეხით უვლიათ და დასასვენებლად ხის ჩრდილში გაჩერებულან, მეთაურებს უთქვამთ, დაისვენეთ ცოტა ხანიო. მაგ დროს დაწყებულა დაბომბვა... ზოგი წამომჯდარი ყოფილა, ზოგიც წამოწოლილი, კასეტური ბომბი, რომ ჩამოუგდია თვითმფრინავს, რამდენიმე წამი რომ გასულა, მერე აფეთქებულა, ვინც ფეხზე წამომდგარა, ძირითადად ისინი დაიღუპნენ და დაიჭრნენ... გოჩა მაშინვე დაღუპულა, მარჯვენა ფერდში ჰქონდა ჭრილობა, მეორე მხარეს გადიოდა... ამ დროს უფროსი ბიჭი უკვე ცხინვალში იყო. არც ის გვეუბნებოდა სად იყო... ერთმანეთი ვერ უნახავთ, ვერც ვერაფრით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...“

გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის - შვილი აღარ გყავსო.

დედა: „მთელი დღე არაფერს მეუბნებოდნენ, შებინდებისას მთელი ეზო გაივსო... ჩემს თავს რომ უბედურება ტრიალებდა, მივხვდი, ვერავინ მიბედავდა თქმას, მე უფროს ბიჭზე ვფიქრობდი, გიორგის ხომ არ დაემართა-მეთქი რამე. გოჩაზე ერთი წამით ცუდი არ მიფიქრია...

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას...

პატარა ძმას შეისვამდა მოლმე კისერზე და დაატარებდა. ძალიან ათამამებდა, მიჰყავდა მაღაზიაში, ტანსაცმელს და კანფეტებს ყიდულობდა...

ამბობდა სიყვარულის დღეს ვარ დაბადებული და დიდი სიყვარული მეწვევაო. შეყვარებული არ ჰყავდა, ერთი გოგო მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა ჩვენთან. მისმა მეგობრებმა გვითხრეს მერე...

მორიდებული და უთქმელი ბიჭი იყო, მისი ზემდეგი ამბობს, მე გოჩას თვალები არ მახსოვს, სულ თავჩაღუნული იდგა და ისე ლაპარაკობდაო...

ხათრიანი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. კლასელები იხსენებენ, ჩხუბში რომ ვიყავით და გოჩას დავინახავდით, უკვე აღარ გვეშინოდაო. გამხდარი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი...“

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

მასალები მომზადებულია წიგნიდან „გმირები“

გიორგი მარსაგიშვილი — გმირი ეკიპაჟიდან „კობრა“

აგვისტოს ომის კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი გმირი, რომელიც მარადიული „ღიმილის ბიჭების“ არმიას შეუერთდა

გიორგი მარსაგიშვილი, ზემო ქედელი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მესამე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე ათეულის მეთაურის მოადგილე, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იკარგება.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგიშვილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის შერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგიშვილს შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული ჰქონდა. განსაკუთრებულ დავალებათა მე-3 სამმართველოში კონკურსის წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა.

გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი.

ალინა მარსაგიშვილი, გიორგი მარსაგიშვილის მეუღლე: „გიორგი ერთი თვე ნანახიც არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ვეღარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

– ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?

- 7 აგვისტოს ვესაუბრე ტელეფონით, მაგრამ იქ არსებულ სიტუაციაზე, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობდა. მას შემდეგ ვეღარ დავუკავშირდით. ვიცით მხოლოდ, რომ ააფეთქეს დაჯავშნული ავტომანქანა ,,კობრა'', რომელშიც ის იყო ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად. ჩემი მეუღლე დღემდე ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, კანონის შესაბამისად ორი წლის შემდეგ ის გამოაცხადეს დაღუპულად, მაგრამ დღემდე მისი ცხედარი ნაპოვნი არ არის. რომ ვეღარ დავუკავშირდით, ნაწილში მივედით, გვითხრეს ჯერ არაფერი ვიცითო, დღემდე ასეა. ჩვენ მინდობილი ვიყავით შს სამინისტროზე და გვჯერა და გწამს, რომ უტყუარ ინფორმაციას მოგვანოდებნდნენ.

– რა შეგიძლიათ გაიხსენოთ მის შესახებ, რას იხსენებენ მისი თანამშრომლები?

— ამ თემაზე საუბარი არ უყვართ, არაფერს ამბობენ და არც იხსენებენ, იმიტომ რომ ,,კობრას'' ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა. ჩემი მეუღლე მაშინ 26 წლის იყო, ბავშვი სამი წლის ხდებოდა, მაგრამ მამა ძალიან კარგად ახსოვს. დღე არ გავა, არ გაიხსენოს. იცის, რომ მამა ომში დაეღუპა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა იყო, როგორც ჩანს, ოჯახში, ჩვენი საუბრებიდან გააანალიზა, მე მისთვის კონკრეტულად არაფერი მომიყოლია. ლიზი მამამისის ასლია, ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ, ჩემს შვილს არ გავათხოვებ, ეს მამიკოს სიცოცხლეაო, ამბობდა. **თავისუფალ დროს სულ შვილთან ატარებდა. ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, ძალიან მონდომებული და პატრიოტი, სულით ხორცამდე იყო ჩართული თავის სამსახურებრივ საქმიანობაში. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ფორმას, რომელიც მან ჩაიცვა.**

— ცხინვალის ცენტრში შესვლას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა...

— დიახ, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. **ის მოხალისე იყო, სისხლი და ჯიში მაინც თავისას შვრება, ეს მამაცობა მას გენში ჰქონდა. შეიძლება გრძნობდა კიდეც საფრთხეს, ბოლო პერიოდში აკვიატებული ჰქონდა, მე მთებში უნდა დავიმარხოო.**

— როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფასა გმირობა თქვენს მეუღლეს?

— დიახ, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნავენ, კარგ სკოლაში მიიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს.

— როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ ერთის მხრივ ძალიან მძიმეა, მაგრამ არის თუ არა ეს დამაიმედებელი გარემოება თქვენთვის?

— როცა ადამიანს არ დაასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.

„ჯიჯგოჩით ჯიჯი გუული აქვს ქაჩოველს!"

პირველი გვერდიდან

რომლებიც სელჩუკების მსგავსად თურქულენოვან ტომებს წარმოადგენდნენ და დავითის მიერ, თვისტომებისგან გარკვეული ნიშნით იყვნენ გამორჩეულები (შესაძლოა ისინი ნათელღებული ყივჩაღები ანუ "ნაყივჩაღარები" იყვნენ და ამით დაიმსახურეს მეფის განსაკუთრებული ნდობა, სხვა ვარიანტში ძნელი ასახსნელია გენერალურ ბრძოლაში მათი შედარებით მოკრძალებული რაოდენობა). მეფე ასევე მოუწოდებდა ჩრდილოეთ კავკასიელებს, რომლებიც 500 ოსი მებრძოლით სიმბოლურად იყვნენ წარმოდგენილები და ასევე 100 თუ 200 ფრანგს, რომლებიც, ალბათ, ასევე სიმბოლურად ევროპელ ჯვაროსნებს წარმოადგენდნენ. შემდეგ კი იყო — "ძლევაი საკვირველი", რომელმაც საქართველო საქრისტიანოს მედროშედ, ხოლო — დავითი — მესიის მახვილად ანუ საღმრთო ომის სულის ჩამდგმელად წარმოაჩინა.

სწორედ ამ ბრძოლაში გამარჯვებამ მისცა შესაძლებლობა დავით აღამაშენებელს გაეთავისუფლებინა თბილისი 1122 წელს, რომელიც 736 წლიდან არა

ბთა სახალიფოს ვასალურ ერთეულად, თბილისის საამიროდ იწოდებოდა და გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა.

ბრძოლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა დიდგორის ველის მთაგორიანმა მდებარეობამ, სადაც საქართველოს ლაშქრის მთავარი ძალა დავით აღმაშენებლის სარდლობით ნიჩბისის ხევით დასავლეთიდან უტევდა მტერს. გარდა ამისა, მთის ერთ-ერთი ფერდიდან ლაშქარის ნაწილს დავითის შვილი დემეტრე სარდლობდა.

ისტორიულად დიდგორობა ხალხური რელიგიური დღესასწაული იყო, რომელიც ქართლში, დიდგორის ველზე იმართებოდა. დღეობაზე მოდიოდნენ დიღმის ხეობის, ქართლ-კახეთის ზოგიერთი სოფლისა და თბილისის მცხოვრებნი. მოსულთა შორის იყვნენ ხელოსნები და ვაჭრები, რომლებიც ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობდნენ. დიდგორის მთის ძირში „მისალოცავში" საკულტო წესები სრულდებოდა. აქვე კლავდნენ შესაწირს, ნათლავდნენ ბავშვებს და მართავდნენ პურობას. დიდგორის მთის წვერზე მხოლოდ ის მლოცველები ადიოდნენ, ვისაც წინასწარ ჰქონდა დათქმული.

ხალხური გადმოცემით, დიდგორის ყორღანი ბრძოლაში მომწყდარ ძმათა სასაფლაოა. აქ ჩაუვლია ქართველთა გამარჯვებულ ლაშქარს და მუჭა-მუჭა მიუყრია მიწა გარდაცვლილი მეომრებისთვის. და ასე შექმნილა ეს ხელოვნური ბორცვი. დავითის მიერ დაფუძნებულ ბალავარზე წამოიმართა დიადი ქართული სახელმწიფო, რომელსაც დავითის გარდაცვალებიდან კიდევ 100 წელი მნიშვნელოვანი ბრძოლა არ წაუგია. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს: "მეთორმეტე საუკუნის ბოლოს და მეცამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო საზღვრები მოიცავდნენ, გარდა საქართველოს ძირითადი ტერიტორიისა, მთელ კავკასიასაც, ჩრდილო კავკასიის ყველა ტომსა და პოლიტიკურ გაერთიანებას. სამხრეთით კი საქართველოს ვასალური სამფლობელოები ვრცელდებოდა ირანის აზერბაიჯანზედაც და აღწევდა გილანს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ეს სამფლობელოები მიდიოდა არზრუმამდე და ერზიჯანამდე, სადაც ნიშნად ვასალური დამოკიდებულებისა ფრიალებდა საქართველოს სახელმწიფო ალამი".

შინდისის გმირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, 9 აგვისტოს, სოფელ ფიროსმანში გაიმართა აგვისტოს ომს შეწირული შინდისის გმირის – თეიმურაზ ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრების მსაჯი გახლდათ - **ზურიკო ხოზრევანიძე.**

ტურნირზე სოფელ ფიროსმანის 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას, სადაც „შუა უბანმა" გაიმარჯვა, რომელთაც გუნდური თასი გადაეცა.

შეჯიბრებაზე გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციის გამარჯვებულებიც, რომელთაც მუნიციპალიტეტისგან გადაეცათ დიპლომები და პრიზები.

საუკეთესო მეკარედ დასახელდა **ნიკა ბერიძე**.

საუკეთესო ფეხბურთელად – **ლუკა ფუტკარაძე,**

საუკეთესო გოლის ავტორად – **გენო სირაძე,**

ვეტერან ფეხბურთელად – **გია სურმანიძე,**

საუკეთესო ბომბარდირად – **ლერი სურმანიძე.**

ყველაზე უმცროს მოთამაშედ – **საბა სურმანიძე.**

სოფელ ფიროსმანში მცხოვრები თეიმურაზ ბერიძე 2008 წელს რუსული აგრესიის დროს საკუთარ ნათლულთან ერთად შინდისში გმირულად დაიღუპა, რის გამოც ის შინდისის გმირების სიაშია. ის თავდაპირველად სოფელ ფიროსმანში დაკრძალეს, თუმცა მოგვიანებით გადაასვენეს.

„ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები..."

გორის რაიონის სოფელ შინდისს 15 წელია, თავისი გმირები ჰყავს, მათ "შინდისის გმირებს" ეძახიან. აქ 2008 წლის 11 აგვისტოს სენაკის მეორე ბრიგადის ჩვიდმეტი ჯარისკაცი გმირულად დაილუპა და ქვეყანას თავგანწირვის საოცარი მაგალითი აჩვენა.

"ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს.

"მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი", - ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, "ლიმონკა" მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება.

მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და... ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის "მამაო ჩვენო". ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა.

აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლული, კიდევ ერთი ღირსეული ვაჟკაცი რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. "არა", - კბილებში გამოცრა თურმე გმირმა.

"ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა. ასე გალობითა და ლოცვით გადავიდა იმიერ საქართველოში, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვა", - ამბობენ თვალცრემლიანი შინდისელები.

"ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულის კაცები და ვაჟკაცები, ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს", -"ამ ლექსის ავტორი 11 აგვისტოს დაღუპულთაგან ერთ-ერთია.

21 წლის იყო მიხეილ დვალიშვილი. ლექსებს წერდა და როგორც ხშირად ამბობდა, საქართველო სიგიჟემდე უყვარდა. იმ დღეს დარწმუნდა, რომ ალექსანდრე ონიანს, რუსლან წულაძეს, ზვიად კაცაძეს, ილია გაბუნიას, რომან ზოიძეს, კახა კოშაძეს, ემზარ წილოსანს, ილია შეყლაშვილს, თემურ ბერიძეს, ფელიქს კაკაურიძესა და ვეფხვია ჯიშკარიანს მასთან ყველაზე მეტად სწორედ ეს "სიგიჟე" აერთიანებდა.

ერთი წამით არ უფიქრიათ უკან დახევა, როდესაც მრავალრიცხოვან მტერს გადაეყარნენ. არ შემდრკალან, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ჯანელიძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე, მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე და შმაგი კუპატაძე პირველივე დარტყმის დროს დაკარგეს.

5 ბიჭი კოლონის პირველივე მანქანაში ჩაკლა მტერმა, დანარჩენები თითქმის საათი და 20 წუთი განუწყვეტლივ უტევდნენ ოკუპანტებს. მტერს ეგონა, ბატალიონი თუ არა, უთუოდ ასეული ებრძოდა. ვინ არიან, ადამიანები თუ ქაჯები, ვერ გაგვიგიაო, ღმუოდნენ თურმე რუსები, სანამ დაფლეთილი თორმეტი ვაჟკაცის ცხედარი არ ნახეს.

მიხეილ დვალიშვილმა თითქოს იწინასწარმეტყველა ეს ტრაგედია. 10 აგვისტოს ბრძოლის ველზე წარმოთქვა: "ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ".

ცეცხლის შეწყვეტა რომ უბრძანეს, იმ დღეს ყველა მათგანს დაურეკავს სახლში, საღამოს შინ ვიქნებითო. ამის შემდეგ 9 დღე და ღამე ეყარა გვამები ღია ცის ქვეშ. მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი მათი გადმოსვენება.

შინდისელების გადმოცემით, შეტაკებამდე 2 საათით ადრე რუსული ტანკები ქართული დროშებით გამოჩენილან სოფელში და ძველი რკინიგზის სადგურთან ჩასაფრებულან. სავარაუდოდ, იცოდნენ, რომ იმ გზაზე ქართველებს უნდა გაევლოთ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასაც არაფრად აგდებდნენ. სენაკის ბატალიონის მიახლოებისთანავე აუფეთქებიათ პირველი და ბოლო მანქანა და ამით გასასვლელები ჩაკეტეს. ბევრმა უშველა თავს ბატალიონიდან, მომავალი შინდისის გმირები მტერს შეაკვდნენ.

შეეძლოთ გარიდებოდნენ, გასაქცევი გზა ჰქონდათ, მაგრამ თვითონვე მოიჭრეს. რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდნენ და ხელჩართული ომი გაუმართეს მტერს. როცა ტყვია-წამალი გამოელიათ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ონიანმა თავის აფეთქება. მისი დაღუპვის შემდეგ რუსებმა დაღუპულებსა და დაჭრილებთან მიახლოება გაბედეს და საკონტროლო ჯერი გადაატარეს.

არადა, მაშინ ყველა არ ყოფილა მკვდარი. შინდისთან ბრძოლას 20 ჯარისკაციდან მხოლოდ სამი გადაურჩა, ისიც შინდისელების გმირობით. სოფლელებს ბრძოლის ველიდან მოუპარავთ საცერივით დაცხრილული ბიჭები. ერთ-ერთს, ოთარ კალმახელიძეს, შინდისელი ბადრი ხუციშვილი, მეტსახელად ახმეტა, რამდენიმე დღე თავის სახლში მალავდა, შემდეგ კი მედპერსონალს ჩააბარა.

რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა - ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე.

მათი გმირობის შესახებ რეჟისორ დიტო ცინცაძის მიერ გადაღებული მხატვრული ფილმის „შინდისის" პრემიერა საქართველოს კინოთეატრებში 2019 წლის სექტემბერში შედგა. ფილმი საქართველოს მიერ წარდგენილი იყო "ოსკარის" უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაში.

ლაშა ბექაურის მორიგი ოქრო ბუდაპეშტში

4-6 აგვისტოს, უნგრეთის დედაქალაქმა ბუდაპეშტმა, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის შეჯიბრს – უნგრეთის მასტერსს უმასპინძლა, სადაც საქართველოს ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში, 6 მოპოვებული მედლით, მესამე ადგილი დაიკავა.

ბუდაპეშტის მასტერსის შემდეგ მსოფლიო სარეიტინგო კლასიფიკაციაში დიდი გადაადგილებებია. შედეგებით მნიშვნელოვნად დაწინაურდა ლაშა ბექაური. 2023 წელს უკვე მესამედ, 90 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა, სადაც ამჯერად გამარჯვებული ლაშა ბექაური გახდა.

ოქროს მედალი 90 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ბექაურმა მოიპოვა, ვერცხლის მედალს დასჯერდა ლუკა მაისურაძე, ბრინჯაოს მედლების მფლობელები კი: ლაშა შავდათუაშვილი, ტატო გრიგალაშვილი, ილია სულამანიძე და გელა ზაალიშვილი გახდნენ.

ლაშა ბექაურმა ფინალში ლუკა მაისურაძის დამარცხება შეძლო. ნახევარფინალში მან დავლათ ბობონოვი დაამარცხა და უნგრეთის მასტერსის ფინალში ასე მოხვდა. მანამდე მან იპონით დაამარცხა აზერბაიჯანელი მურად ფატიევი. ორივე მსოფლიო ჩემპიონია.

ბექაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას ბუდაპეშტის მასტერსზე მოპოვებული ჩემპიონობა რაჭაში სტიქიის შედეგად გარდაცვლილებს მიუძღვნა:

„ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ეს ჩემთვის. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ მომხდარი ტრაგედია ჩვენს ქვეყანაში და მინდოდა, რომ ეს გამარჯვება რაჭაში გარდაცვლილი ადამიანების სულებისთვის მიმეძღვნა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვახერხე ეს და გავახარე მათი სულები იმ ქვეყნად“ – ამბობს ბექაური.

შეგახსენებთ, 2023 წელს ლაშა ბექაურმა და ლუკა მაისურაძემ ერთად 4 ტურნირზე იასპარეზეს, საიდანაც სამში ქართული ფინალი შედგა. ორ შემთხვევაში, თბილისის გრანდ-სლემსა და უნგრეთის მასტერსზე ბექაურმა მაისურაძე დაამარცხა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე პირიქით, მაისურაძემ ოქრო, ბექაურმა კი ვერცხლი მოიპოვა.

წარმატებული უნგრეთის მასტერსის შემდეგ, ცნობილია, თუ რა თანხა გამოიმუშავეს ქართველმა ძიუდოისტებმა.

შეჯიბრის საერთო საპრიზო თანხა € 196,000 ევროს შეადგენდა, საიდანაც თანხა შემდეგნაირად ნაწილდებოდა. ტურნირის გამარჯვებული, ჩვენს შემთხვევაში ლაშა ბექაური € 6,000 ევროთი დაჯილდოვდა, საიდანაც € 4800 ევრო უშუალოდ სპორტსმენს ხვდება, € 1200 კი მწვრთნელს ეკუთვნის.

ბუდაპეშტის მასტერსის შემდეგ ძიუდოს ფედერაციამ ახალი კლასიფიკაცია გამოაქვეყნა, სამ წონით კატეგორიას სათავეში საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები უდგანან

მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა მასტერსზე ჩემპიონობის წყალობით, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის **(IJF)** განახლებულ რეიტინგში სოლიდური წინსვლა განიცადა და ახლა, 90 კგ-მდე კატეგორიაში მხოლოდ თანამემამულე ლუკა მაისურაძეს ჩამორჩება. ბექაური რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს.

როგორც აღვნიშნეთ, 90 კგ. წონის სათავეში საქართველოს ნაკრების ვარსკვლავები იმყოფებიან. მასტერსის ოქროს მედლის მფლობელი ლაშა ბექაური (5 800) მე-2 ადგილზე დამკვიდრდა, ლიდერი კი გასული ტურნირის ფინალისტი ლუკა მაისურაძეა (7 810). ქართველების უახლოესი მდევრები სანშირო მურაო (იაპონია, 5 530), დავლატ ბობონოვი (უზბეკეთი, 5 398) და კრისტიან პარლატი (იტალია, 4 747) არიან, ბექა ღვინიაშვილს (4 178) კი მე-7 საფეხური უკავია.

მსოფლიო ძიუდოს კალენდარში მორიგი მნიშვნელოვანი ტურნირი 18-20 აგვისტოს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში დაგეგმილი გრან პრია, 23-27 აგვისტოს იქვე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება, 22-24 სექტემბერს კი, აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო გრანდ სლემს უმასპინძლებს.

უშანგი ჩოხელის ხსოვნას

86 წლის ასაკში გარდაიცვალა ზემო ქედის კოლორიტი, ცნობილი მოჭიდავე უშანგი ჩოხელი. ის 8 აგვისტოს მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.

საინტერესო და რთული ცხოვრება ხვდა წილად. უშანგი ჩოხელისა და კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკის ქეთევან ქიმოსტელის ოჯახს ქედების ზონაში კარგად იცნობენ. ეს ოჯახი წარმატებებთან ერთად დიდ ტკივილსაც ატარებდა. 21 წლის ასაკში უმცროსი ვაჟი, ვანო ჩოხელი საწვავის ავზის აფეთქების შედეგად დაეღუპათ, ხოლო მიმდინარე წლის მარტში, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, უშანგი ჩოხელი კიდევ ერთი დანაკარგის მოწმე გახდა. რამდენიმე თვის წინ 22 წლის ასაკში მათი შვილიშვილი ილია ჩოხელი უკრაინაში, რუსეთის აგრესიას ემსხვერპლა. ის ზემო ქედის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი ხარკოვში დაბრუნდა და სამხედრო განათლება მიიღო. რუსეთ-უკრაინის ომში განმაღმველად წელიწადზე მეტ ხანს იბრძოდა.

რა დანაკლისი განიცადა ქედების ზონამ და როგორი იყო უშანგი ჩოხელის პიროვნული შტრიხები „შირაქი“ მის მეგობრებს ესაუბრა.

გივი ლაზვიაშვილი: „11 წლით უფროსი იყო ჩემზე და ის ჩემი დამკვალიანებელი იყო, ბევრი რამ მასწავლა... არა მხოლოდ მე, ბევრი თაობა აღზარდა. კოლორიტი იყო, მხოლოდ ქედების ზონაში კი არა, მთელს დედოფლისწყაროში, მისნაირი კაცი იშვიათად მოიძებნება. ძალიან ღირსეულად იცხოვრა და თუ ვინმეს რაიმე რჩევა ჭირდებოდა, მასთან უნდა მისულიყო, საუკეთესო დამრიგებელი იყო. თავი ძალიან შემაყვარა და ოჯახის წევრებივით ვიყავით. მთელი სამეგობრო მის ხელში ვართ გავლილები და დღემდე ერთად მოვდივართ.

საგარეჯოს ჰყავდა ძალიან ძლიერი მოჭიდავე როინ ქაიხოსროშვილი, რომელიც გახდა სამბოში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. იმხანად საგარეჯოელების კონკურენტები ძირითადად ზემო ქედელები ვიყავით და ამიტომ ჩვენც მიგვიწვიეს. მე პატარა ვიყავი და უშანგიმ წამიყვანა. ყველაფერი კარგად მახსოვს. სხვადასხვა წონითი კატეგორიები ერთმანეთს დაეჭიდნენ და ისე მოხდა, რომ ფინალში უშანგი ჩოხელი და როინ ქაიხოსროშვილი ერთად მოხვდნენ. საგარეჯოელი ქაიხოსროშვილი მაშინ ძალიან ქუხდა და მაყურებელიც ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. ამ დროს უშანგის თითქმის მინებებული ჰქონდა ვარჯიშისთვის თავი, აღარ ემზადებოდა სათანადოდ. მითხრა, დამიჭირე ტანსაცმელიო. დიდი მოჭიდავე ლავრენტი ღუდუშაური იყო მათი მეგობარი, უშანგი თასმას იკრავდა, როცა ლავრენტიმ უიმედოდ უთხრა, ხომ ხედავ როგორ შეხვდა როინას მაყურებელი, რამხელა ტაში შეაგებესო. მაცადე, ბოლოს ვის დაუკრავენ ტაშს, მალე გამოჩნდებაო. ზურნა დასცხეს, უშანგიმ საყელო გადაიწია და გავიდა. დაეჭიდნენ, მაგრამ ფეხი ვერ უცვალა უშანგის. უშანგიმ კი ატარა, ატარა, კისრულით წამოიღო როინი და მუსიკანტების წინ გააწვინა. გადაჭედილი დარბაზი ხმას არ იღებდა, გასუსული იყო. მერე მსაჯებმაც და ყველამ ატეხეს, არ ჩაითვალა, არ არის მოგებაო. უშანგიმ წარბი არ შეიხარა, არ არის და კიდევ დაუკარითო. მეორედ დაეჭიდა და ისევ მათ ფეხებთან დააწყვიტა ქაიხოსროშვილი. ისევ არ არის არ არისო ყვიროდნენ, მაგრამ მეტოქემ გაიხადა ხალათი და გადააგდო, რაც დანებებას ნიშნავდა. საგარეჯომ ტაში უკვე უშანგის დაუკრა. საოცარი ხასიათის იყო, დიდი იუმორი და მოლექსეობაც შეეძლო. მისი სახელობის ტურნირებიც ტარდებოდა და მისი გარდაცვლილი ვაჟის ვანო ჩოხელის ხსოვნის ტურნირებსაც ათი წლის განმავლობაში პირადად მე ვხელმძღანელობდი. უშანგის ახალგაზრდა მოჭიდავე ბიჭი უბედური შემთხვევის შედეგად ტრაგიკულად დაეღუპა. მაშინ ამ ამბავმა მთელი დედოფლისწყარო შესძრა“.

კახა წიკლაური: „დიდი დანაკლისია ჩვენი სოფლებისთვის უშანგის გარდაცვალება. კოლორიტი კაცი იყო და ყველას უყვარდა. ყველასთვის პატივსაცემი უხუცესი ადამიანი იყო, რომელსაც თავისი დროისთვის დიდი სპორტული შედეგები ჰქონდა. ყოველთვის ვეპატიჟებოდით ჩვენს მიერ ორგანიზებულ ტურნირებზე და საპატიო სტუმრად გვყავდა, ჩამოსულ სტუმრებს ვაცნობდით და მისით ვამაყობდით. მომავალ თაობებსაც ყოველთვის კარგ რჩევებს აძლევდა. როცა მე ვიწყებდი სპორტულ კარიერას, ჩვენთვისაც ყველაფრით მისაბაძი პიროვნება იყო. სამაგალითო იყო ყველაფრით, ქცევებით, სიდარბაისლით, ყველა იმ თვისებით, რაც სპორტსმენს შვენის. მართლა საოცარი უნარებით და ხასიათით დაჯილდოვებული კაცი იყო. ამიტომ ყველას ვუსამძიმრებ მის გარდაცვალებას“.

ელგუჯა თეთვაძე: „ჩვენი თაობის გამზრდელი იყო, უნიკალური პიროვნება, თავისი ინტელექტით, იუმორით, მოქმედებით, ადამიანურობითა და რაც მთავარია სპორტული მონაცემებით. მხოლოდ სოფელში არა, მთელს რაიონში თვალსაჩინო, დიდი სახელის მქონე პიროვნება იყო. კაცთმოყვარეობა და მოთმინება გვასწავლა. ყველა უყვარდა, მაგრამ ღმერთმა რატომღაც დაჩაგრა, შვილი, რძალი და შემდეგ შვილიშვილი ახალგაზრდა ასაკში დაკარგა. ამ ოჯახმა ბევრჯერ მიიღო ტრავმა, მაგრამ მაინც სხვების გზაზე დაყენებაზე ფიქრობდნენ. საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი იუმორის გრძნობა, ამ დინჯმა კაცმა უჩვეულო ხუმრობა იცოდა. ხშირად ვიკრიბებოდით მეგობრები და ვცდილობდით მოხუცებულობის წლები ისევ ერთად და შინაარსიანად გაგვეტარებინა. დიდი დანაკლისია ყველასთვის მისი გარდაცვალება“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მარინა ცხვედიაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, მაყვალა გონაშვილი, მერაბ კეზუა, ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა სოფელ არბოშიკის სკოლის მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, გამორჩეული მათემატიკოსი

მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს: ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილების ოჯახს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილების ოჯახს, დედის

მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია მაისურაძეს და ვაჟა გონაშვილს, ბაჩუკი გონაშვილსა და ლია კობაიძეს დედის

მერი კოჭლამაზაშვილის

გარდაცვალების გამო.

ხარა გორაძვილი, ზურაბი, მაგდა და ხატალი პოპიაძვილები, ირაკლი და ნია მელაშვილები, თანაგრძნობას უცხადებენ ბაჩუკი გონაშვილისა და ლია კობაიძის, ვაჟა გონაშვილისა და ლია მაისურაძის ოჯახებს, დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის

მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ივერი ჭუჭულაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, მერაბ ფიროსმანაშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, თამრიკო პაპაჩაშვილი, მაყვალა მამულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლია ბაიდოშვილს მეუღლის, გიორგი ტოკლიკიშვილს მამის

ზურიკო ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ჭიდაობის ტურნირი ელიას მთაზე

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ქალაქ დედოფლისწყაროში, ელიას მთის მიმდებარე ნაძვნარში უკვე ათი წელია ჭიდაობის ტურნირი ელიაობის დღესასწაულის პარალელურად იმართება, სადაც სპორტსმენები მთელი საქართველოდან ჩამოდიან და ელიის კალთაზე მოწყობილ საველე ტატამზე ერთმანეთს ეჭიდებიან. 2 აგვისტოს დედოფლისწყარომ მორიგ ასეთ ტურნირს უმასპინძლა, რომელიც ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირის გამარჯვებულები:

55კგ
I - ნიკა ნანეტაშვილი (ქარელი)
II - ლაშა მეტრეველი (მცხეთა)
III - შაკო გულიაშვილი (ყვარელი)

60 კგ
I - ნიკა ჩოლოგაური (ლაგოდეხი)
II - საბა თუშიშვილი (თელავი)
III - ბესო სამსიანი (თეთრიწყარო)

66 კგ.
I - საბა არავიაშვილი (ქარელი)
II - თამაზ მღებრიშვილი (ქარელი)
III - გიორგი რცხილაძე (ყვარელი)

73 კგ.
I - მიშო კვირტიძე (დედოფლისწყარო)
II - საბა სამსიანი (თეთრიწყარო)
III - ლუკა ნოზაძე (ქარელი)

+73 კგ.
I - გიორგი ბადუაშვილი (ქარელი)
II - რამაზ თეთრაშვილი (თელავი)
III - დათო ხარაზიშვილი (ყვარელი)

კახა წიკლაური ***(მწვრთნელი ქედების ზონაში):*** „ჩემი ორი მოსწავლე მონაწილეობდა, ლუკა ბურდული და მიშო კვირტიძე. კმაყოფილი ვარ შედეგებით. ბურდულმა რამდენიმე შეხვედრა მოიგო, მაგრამ ფინალში მოსახვედრი ტური ვერ გადალახა. კვირტიძემ კი დაძლია ყველა ბარიერი და ფინალში მოხვდა, შემდეგ თეთრიწყაროელი მეტოქეც დაამარცხა და გამარჯვება მოიპოვა. ზოგადად ის დიდი მიღწევებით არ გამოირჩეოდა და ბევრად წონიან მეტოქეებს შეხვდა. ის მხოლოდ საქართველოს პრიზიორი და რამდენიმე ტურნირის გამარჯვებულია, მისი მეტოქეები კი საქართველოს ჩემპიონები იყვნენ. ამის მიუხედავად მან მათი დამარცხება მოახერხა. საკმაოდ პერსპექტიული ბიჭია, ტრავმებს მოიშუშებს და მისგან კვლავაც წარმატებებს ველით“.

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროელ ოქროს მედალოსანს გაესაუბრა. როგორც გაირკვა, არხილოსკალოელი მიშო კვირტიძე თანასოფლელი ლაშა ბექაურის მსგავსად ტრავმირებული მხრით ასპარეზობდა და ამის მიუხედავად ოქროს მედლის მოპოვება მაინც შეძლო.

მიშო კვირტიძე: „ოთხი ბრძოლა გავმართე, მეტოქეები მყავდა, მცხეთიდან, ქარელიდან, თბილისიდან და თეთრიწყაროდან. გამარჯვების მოპოვება ადვილი არ აღმოჩნდა. საკმაოდ რთული იყო, რადგან ძლიერ მეტოქეებს მოვუგე. თანაც ტრავმა მაქვს მხარზე და ესეც სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ჩემთვის. ტრავმა მაფერხებდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, დიდი მონდომების შედეგად ყველაფერი გამოვიდა და 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვება მასპინძელ დედოფლისწყაროს ხვდა წილად.

ტრავმა წინა ტურნირზე, დუშეთში ყოფნისას, დაახლოებით ერთი თვის წინ მივიღე. მხარი ამომივარდა, მკურნალობა გავიარე, მაგრამ უშედეგოდ. ხელახლა უნდა ვიმკურნალო. ბავშვობიდან ძალიან მცირე ხნით ფეხბურთზე დავდიოდი. ძიუდო ყოველთვის მომწონდა, მაგრამ როცა პირველად ვარჯიში დავიწყე, რთული მომეჩვენა და მალე შევწყვიტე სიარული. 6-7 წლის ვიქნებოდი და გამიჭირდა. შემდეგ ისევ დავუბრუნდი და დღემდე ვაგრძელებ. ბევრი ჩავარდნა მქონდა ჯანმრთელობის გამო, მაგრამ იმდენად დიდი იყო შემართება და სურვილი, რომ ყველა დაბრკოლება გადამალახინა. ტრავმების გარეშე სპორტი არ არსებობს და ამას შეგუებული ვარ. კონკრეტულად არავის ჰქონია გავლენა იმაში, რომ ჭიდაობა მიყვარდა, უბრალოდ, ძალიან ხშირად ვუყურებდი ჭიდაობას და სულ უფრო მხიბლავდა ეს სპორტი. ძირითადად ჩემით ვუყურებდი, მაგრამ მაშინ არ მქონდა ტელეფონი და ინტერნეტი. კახა მასწავლებელიც ხშირად გვაყურებინებდა ხოლმე საინტერესო ვიდეოებს. ასევე წვრთნების დროს. კახა წიკლაური როგორც მწვრთნელი, საუკეთესო მასწავლებელია, ასევე კარგი ადამიანია. თავისი საქმის პროფესიონალია. დარბაზში ძალიან ბევრს ვსწავლობთ მისგან. ფიზიკურად ბევრს გვავარჯიშებს და ფსიქოლოგიურადაც გვამზადებს. ფსიქოლოგიური მზაობა კი, ვფიქრობ, ერთ—ერთი მნიშვნელოვანია სპორტსმენის წარმატებისთვის. დარბაზში მკაცრია, თუმცა ეს ჩვენი განვითარებისთვის აუცილებელია. დარბაზში პირობები არ გვაქვს. თავდაპირველად არხილოსკალოს სკოლაში, გაუქმებულ ოთახებში ვვარჯიშობდით, ბოლო ხანს ზემო ქედის სპორტულ დარბაზში დავდივართ და იქ გვიტარდება მომზადება. საუკეთესო პირობები არც იქ არის, მაგრამ მთავარია მონდომება და ვარჯიშის დიდი სურვილი. როცა ეს არის, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება და პირობები მეორეხარისხოვანია. კახა მასწავლებელმა ეს თავისი შედეგებით ბევრჯერ დაამტკიცა. ამის მაგალითია თუნდაც ლაშა ბექაურის წარმატება, რომელიც ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ცხადია, ეს ორმაგად სასიხარულო და მოტივაციის მომცემია ჩვენთვის“.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროს პირველობა მძლეოსნობაში

10 აგვისტოს დედოფლისწყაროში ახალ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი. როგორც წესი, შეჯიბრებებზე ძირითადად ერთი რომელიმე სახეობის სპორტსმენები ასპარეზობენ ხოლმე, ახლადდაფუძნებულ პირველობაში კი ყველა სექციის სპორტსმენი გაერთიანდა. ამჯერად, დედოფლისწყაროს პირველობა გაიმართა მძლეოსნობაში. ხორნაბუჯის ციხის ახლადდაგებულ გზაზე, რომლის სიგრძეც 4 კილომეტრს აღწევს, გარბენში 24 დედოფლისწყაროელი მოზარდი მონაწილეობდა.

პირველი ადგილი დაიკავა **ლუკა ყაჭაშვილმა** (თავისუფალი ჭიდაობა)

მეორე ადგილი — **სოსო ჯავახიშვილი** (კიკბოქსინგი)

მესამე ადგილი — **გიორგი ღვედაშვილი** (ძალისმიერი სპორტი).

დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილე სპორტის საკითხებში გიორგი ცისკარაული „შირაქს“ ეუბნება, რომ იდეა დიდი ხანია არსებობდა და საბოლოოდ მისი განხორციელება კერძო პირის ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა. პირველი ადგილის მფლობელს 500, მეორე ადგილოსანს — 300, მესამე ადგილზე გასულს კი — 200 ლარი გადაეცა.

გიორგი ცისკარაული ***(ორგანიზატორი):*** „მძლეოსნობა სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც ნებისმიერი სახეობის სპორტსმენს შეუძლია მონაწილეობა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. ისეთი ასაკობრივი ჯგუფი შევარჩიეთ, 13-დან 16 წლამდე კატეგორიაში, სადაც დედოფლისწყაროს სხვადასხვა სექციაში ყველაზე მეტი სპორტსმენი ჰყავს. რადგანაც ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი თაობაა, ამიტომ გვინდოდა უფრო ფართო სეგმენტი მოგვეცვა. სირბილში შეჯიბრის ჩატარების იდეაც იქიდან გაჩნდა, რომ ამას ყველა სახეობის სპორტსმენი შეძლებდა და მასობრივი ინტერესის საგანი გახდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინი გამართლდა და ბევრი მსურველი შემოგვიერთდა. თითქმის ყველა სექციის წარმომადგენელი ჩაერთო შეჯიბრში, იყვნენ მოხალისეებიც და საბოლოო ჯამში 24 სპორტსმენი მონაწილეობდა. საკმაოდ დაძაბული და ემოციებით დატვირთული დღე გამოვიდა. გვინდა, შეჯიბრება ყოველ წელს ჩატარდეს, ტრადიციული სახე მიიღოს და აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩატარდეს. შეჯიბრი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა, თუმცა ფულადი პრიზი კერძო პირმა დააწესა. პეტო მანუკიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს და მუშაობს და მშობლიურ დედოფლისწყაროში კეთილ საქმეს ხშირად აკეთებს. ჩვენს სპორსტმენებს არაერთხელ დაეხმარა როგორც ფინანსურად, ისე სპორტული ინვენტარით. ის ჩვენი დიდი გულშემატკივარია და ამჯერადაც მისი მხარდაჭერით შევძელით იდეის განხორციელება. მისი მოტივაცია არის კეთილი საქმის კეთების სურვილი და ამიტომ ცდილობს გვერდით დაგვიდგეს“.

პირველ ადგილზე გასული ლუკა ყაჭაშვილი საზოგადოებამ 2019 წელს სიმღერით გაიცნო. ის კახეთის მუსიკალურ სატელევიზიო კონკურს ახლი თაობის“ ფინალისტია, რამაც ცნობადობა მოუტანა არა მხოლოდ დედოფლისწყაროში, არამედ მთელ კახეთის რეგიონში. მართალია კონკურსის პრიზები მას ჯერ კიდევ არ მიუღია, თუმცა, ლუკას სატელევიზიო და სასცენო დებიუტი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. მას ჰქონდა როგორც ჟიურის, ისე მაყურებლის მხარდაჭერა, რის შედეგადაც ლუკა ყაჭაშვილი მეორე ადგილზე გავიდა.

ლუკა ყაჭაშვილი: „ამჯერად მძლეოსნობაში მონაწილეობა მივიღე გამოცდილების მისაღებად და ჩემი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. ეს მოგება ჩემთვის არის დიდი მოტივაცია იმისთვის, რომ გავაგრძელო ვარჯიში და მომავალ წელს კიდევ მივიღო ამ ტურნირში მონაწილეობა. მადლობა მინდა გადავუხადო ამ ტურნირის ორგანიზატორებს და მხარდამჭერებს. ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვება მოვიპოვე. ამით ჩემი შრომა დაფასდა და შესაძლებლობები ყველას დავუმტკიცე. პირველობას არ ველოდი, მაგრამ შეჯიბრის დაწყებამდე დავრწმუნდი, რომ თუ მოვინდომებდი, შევძლებდი გამარჯვებას. ფულადი პრიზის შესახებ მანამდე არ ვიცოდი, იქ შევიტყვე. ამიტომ ეს სიურპრიზი იყო ჩემთვის და ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, ამ თანხას რაში დავხარჯავ. ბოლო ხანს თავისუფალ ჭიდაობაზე დავდივარ, დათო გონაშვილის ჯგუფში. მანამდე კიკბოქსინგში ვვარჯიშობდი, მაგრამ ჭიდაობა უფრო მომწონდა და შევიცვალე. ჯერ შეჯიბრებებზე არ გავსულვარ, მაგრამ ვცდილობ წარმატებული ვიყო. დილაობით ყოველთვის დავრბივარ. სირბილი სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ვარჯიშისთვის საჭიროა, ამიტომ ბევრი იყენებს. მეც ხან ელიას მთაზე დავრბივარ, ხან ხორნაბუჯის ციხეზე, ხანაც სტადიონზე. ახლა ჩემს განვითარებას ჭიდაობაში ვხედავ და ასევე სიმღერაში. გარდატეხის ასაკის გამო დროებით სიმღერა შევწყვიტე, თუმცა აუცილებლად დავუბრუნდები“.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.08	სამშაბათი 15.08	ოთხშაბათი 16.08	ხუთშაბათი 17.08	პარასკევი 18.08	შაბათი 19.08	კვირა 20.08
დღე	33 °	32 °	32 °	32 °	32 °	31 °	30 °
ღამე	21 °	20 °	20 °	20°	20 °	19 °	18 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი